რძისა და რძის ნაწარმის ეტიკეტი

მომხმარებელი.ge

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

„რძისა და რძის ნაწარმის შესახებ“

ტექნიკური რეგლამენტი

ადგენს

მოთხოვნებს რძის, რძის ნაწარმის და
რძის შემცველი პროდუქტის მიმართ,



აწესრიგებს

ბიზნესოპერატორის მიერ მათი წარმოებისა
და ბაზარზე განთავსების პირობებს,

განსაზღვრავს

მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს
ბაზარზე განთავსებული პროდუქცია

რძე და რძის ნაწარმი (გარდა ყველისა) შეიძლება **რძის ფხვნილისაგან** დამზადდეს.

რძის ნაწილობრივ გაუწყლოებით მიიღება

ფხვნილის შენახვის ვადა - ხანგრძლივი, **ტრანსპორტირება** - მარტივი

რძის ფხვნილისაგან დამზადებული რძე = „აღდგენილი“ რძე

ყურადღება თუ რძის პროდუქტი დამზადებულია **რძის ფხვნილის** გამოყენებით, ეს ინგრედიენტების ჩამონათვალში **უნდა იყოს მითითებული**.

დაუშვებელია!

რძის ფხვნილისაგან დამზადებული ნაწარმის ეტიკეტზე ტერმინ **„ყველის“** გამოყენება.

საქართველოს ბაზარზე უხვად იყიდება რძის ნაწარმის მსგავსი პროდუქტი, რომლის დამზადების დროსაც **რძის ცხიმი** ჩანაცვლებულია **მცენარეული ცხიმით**, ან სხვა ინგრედიენტებით. ასეთ პროდუქტზე რძის პროდუქტის დასახელების მითითება, ასევე, წარწერა რძის პროდუქტის **„მსგავსი“ ან „-ებრი“** აკრძალულია.

ყველს შეიძლება ეტიკეტზე **არ ეწეროს** „ყველი“, თუკი მას ამ პროდუქტის ცალკეული სახეობის სახელი აწერია, ვთქვათ **„სულგუნი“**.

პროდუქტს, რომელიც **არ არის ყველი** (დამზადებულია მცენარეული ცხიმის ან რძის ფხვნილის გამოყენებით) არ შეიძლება ეწეროს **„იმერული“** ან **„სახაჭაპურე“**

ყურადღება

პროდუქტი, რომელიც გარეგნულად, ან გემოთი ჰგავს რძის ნაწარმს, შეიძლება საერთოდაც **არ შეიცავდეს რძეს!**

დაუშვებელია!

მცენარეული ცხიმის და მოხდილი (გაუცხიმოებული) შესქელებული რძის **ნარევის** გამოყენება ჩვილ ბავშვთა კვებაში

საქართველოს ბაზარზე არსებული
ქარხნულად დაფასოებული რძე უმეტესწილად
პასტერიზებული ანუ **სტერილიზებულია**







პასტერიზაციისას ხდება
რძის მაღალ ტემპერატურაზე
გაცხელება, რათა მავნე
მიკროორგანიზმები
განადგურდეს.

თუმცა,
პასტერიზაცია რძის სასარგებლო თვისებებს **ამცირებს.**
იმ პირობებში, როდესაც რძის უვნებლობის
უზრუნველყოფა ძნელია, პასტერიზაციას
ალტერნატივა არ გააჩნია.



გინდათ იცოდეთ რას ყიდულობთ?

ფრთხილად! → ზოგჯერ **წონით გაყიდულ** პროდუქტს **არასწორად** აწერია **რძის ნაწარმის** სახელწოდება

დააკვირდით → პროდუქტის შემადგენლობას!

მოითხოვეთ → თუ ის არ არის მითითებული

რძის, რძის ნაწარმისა და
რძის შემცველი პროდუქტების
ტექნიკურ რეგლამენტთან
შესაბამისობის კონტროლი
ხორციელდება

სურსათის ეროვნული სააგენტოს

მიერ

სავარაუდო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიმართეთ სააგენტოს

ცხელ ხაზს



15-01

სრული ინფორმაცია

რძისა და რძის ნაწარმისადმი

წაყენებული მოთხოვნების შესახებ იხილეთ ტექნიკურ რეგლამენტში „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ“, ხოლო

ეტიკეტირებისადმი

არსებული მოთხოვნები მოიძიეთ ტექნიკურ რეგლამენტში „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის მიზანია ქვეყანაში სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ მომხმარებლის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე. ამ მიზნის მიღწევას პროგრამა ბაზრის მონიტორინგით, მომხმარებლის ცნობიერების ამაღლებითა და საკანონმდებლო ცვლილებების ლობირებით ახორციელებს.

ცენტრმა მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობა 2009 წლიდან დაიწყო და ამ დროის განმავლობაში ასეულობით სასურსათო პროდუქტი ლაბორატორიულად შეამოწმა. ინფორმაცია დარღვევების შესახებ მიეწოდება საზოგადოებას, სახელისუფლებო სტრუქტურებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს. პროგრამის ერთ-ერთი მიმართულება მომხმარებლის კონსულტაციაა.

მომხმარებლის უფლებების ნებისმიერ დარღვევაზე, ასევე კონსულტაციისთვის მოქალაქეებს შეუძლიათ მოგვმართონ პროგრამის ვებსაიტზე **www.momxmarebeli.ge** და ფეისბუქის გვერდზე **https://www.facebook.com/momxmarebeli.ge/**, ასევე, დარეკონ ნომერზე **2 39 90 19** ან **2 19 42 42**

პუბლიკაცია მომზადებულია სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, ლიტვის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის „თანამშრომლობა განვითარებისათვის და დემოკრატიის ხელშეწყობა“, ასევე, ორგანიზაციის „პური მსოფლიოს“ დაფინანსებით.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
დელისის I შესახვევი 5ა
თბილისი, საქართველო 0177
ელფოსტა: office@csrdg.ge
ტელ: (+99532) 2399019